6549/3-81/23 2 06092023

6549/3-81/23
06-09-2023

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს,

ბატონ თეიმურაზ მღებრიშვილს,

ბატონო თეიმურაზ,

შეგახსენებთ, რომ 2023 წლის 14 აგვისტოს, მოგმართეთ დეპუტატის კითხვით, რომელზე პასუხიც დღემდე არ მიმიღია. გამომდინარე აქედან, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით, რომელზეც, რეგლამენტის მიხედვით, დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, 2020 წელს ჩაატარა წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი.

აუდიტის დასკვნაში საუბარია, რომ 2017 წელს ქვეყანაში პირველად დამტკიცდა „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია“, რომლითაც განისაზღვრა რისკის შემცირების პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და განხორციელების მექანიზმები.

სტრატეგიის დოკუმენტისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება-დამტკიცება ერთმნიშვნელოვნად დადებითი მოვლენაა, თუმცა დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია დეტალიზაციას და გაუმჯობესებას საჭიროებს. კერძოდ, რისკის შემცირების სტრატეგიით არ არის გათვალისწინებული წყალდიდობის პრევენციისთვის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. სამოქმედო გეგმა არასრულყოფილია, ხოლო გაწერილი ღონისძიებების მხოლოდ მცირე ნაწილია (16%) შესრულებული. გეგმით გათვალისწინებული საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავადებული და შეუსრულებელია.

აუდიტის დასრულების შემდეგ თქვენი უწყების მიმართ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემაში ჩართული უწყებების ეფექტიანი კოორდინაციისა და წყალდიდობების პრევენციის მიზნით, სამსახურმა შეიმუშაოს სისტემაში ჩართულ უწყებებთან კოორდინაციისა და კომუნიკაციის გეგმა, რომელიც, თავის მხრივ უზრუნველყოფს უწყებების დარეგულირებულ მუშაობას და ყველა შესაბამისი უწყების დროულ ინფორმირებას მათთვის საჭირო მონაცემებთან დაკავშირებით. აღნიშნულის მისაღწევად, აუცილებელია მეთოდოლოგიურად განისაზღვროს კომუნიკაციის საშუალებები, სიხშირე და ინფორმაციის გაცვლის სტანდარტი.

2. პრევენციული ღონისძიებების გასააქტიურებლად, მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების და კატასტროფების მართვის სფეროში მისაღები ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების ინვენტარიზაცია/პრიორიტეტიზაცია და ინიციატივების გზით, დააჩქაროს ამ

მიმართულებით არსებული პროცესები. ადგილობრივი დონის საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფისა და პროცესის დროულად წარმართვის მიზნით – უზრუნველყოს მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი სწავლებებისა თუ ტრენინგების ორგანიზება, რაც ადგილობრივ თვითმართველობას დაეხმარება ეფექტიანი გეგმების შედგენაში.

3. დანერგოს მუნიციპალიტეტების მიერ რისკის მართვისა და საგანგებო მართვის გეგმების შედგენის კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტების დადგენილი სტანდარტით შემუშავებას.

4. მოსახლეობის ადრეული შეტყობინების არსებული სისტემის ეფექტიანობის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები (SMS შეტყობინებები);

5. უწყებებმა ერთობლივად იმსჯელონ ციფრული რუკების შექმნისთვის საჭირო ღონისძიებებზე და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კოორდინაციით დაგეგმონ და განახორციელონ აქტიური სამუშაოები კატასტროფის რისკების სივრცით რუკებზე დატანის მიმართულებით.

6. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანია სამსახურმა შეიმუშავოს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გეგმა და მეთოდები, რომლებიც მიმართული იქნება შესაბამის სამიზნე ჯგუფებზე. ასევე მნიშვნელოვანია სამსახურმა დანერგოს დაგეგმილი ღონისძიებების შეფასების პრაქტიკა;

7. პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სამსახურმა უზრუნველყოს უკვე შექმნილი პროდუქტების (ვიდეოგაკვეთილები, ვებგვერდი, მობილური აპლიკაცია) პოპულარიზაცია.

8. წყალდიდობების შედეგად მოსალოდნელი ზიანის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მომეტებული საფრთხის შემცველ (მდინარის ჭალებში), უკვე განაშენიანებულ უბნებში მზადყოფნის ღონისძიებების დაუყოვნებლივ შემუშავება-განხორციელებას (ადრეული გაფრთხილების სისტემა, მოსახლეობის ინფორმირებულობა, საევაკუაციო შესაძლებლობების განსაზღვრა-განვითარება და ა.შ)

გთხოვთ, თითოეულ რეკომენდაციებთან მიმართებაში მიპასუხოთ რამდენად შესრულდა აღნიშნული რეკომენდაციები. ასევე მომაწოდეთ თითოეული რეკომენდაციის შესასრულებლად თქვენს მიერ გაწეული სამუშაოების და ამ პროცესში გამოკვეთილი ბარიერების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი